საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 789-02
12/04/2023

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, თეატრის დირექტორის ნატალია თვალჭრელიძის 2023 წლის 12 პარილის N 6431-35 სამსახურებრივი ბარათი საფუძველზე

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის შინაგანაწესი ამ ბრძანების დანართის მიხედვით.
2. ამ ბრძანების გამოცემისთანავე ძალადაკარგულად იქნას ცნობილი რექტორის 2012 წლის 16 იანვრის N02-58 ბრძანება.
3. უნივერსიტეტის თეატრის ადმინისტრაციას დაევალოს კონტროლი და ამ ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.
4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
5. დაევალოს კანცელარიას ეს ბრძანება და თანდართული შინაგანაწესი ატვირთოს შიდასაუნივერსიტეტო პროგრამა ,,კოდექს"-ში;
6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის თეატრს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი